სიმართლისათვის დევნილი მეუფე არტემი.

ჩვენ, საქართველოს ეკლესიის წევრი საულიერო და საერო პირები შეშფოთებულები ვართ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებით, რომლითაც რაშკო-პრიზრენის ეპისკოპოსი არტემი განყენებულია თავისი ეპარქიის მმართველობიდან. ამ ფაქტს აღვიქვამთ როგორც პატიოსანი ეპისკოპოსის, ანტიეკუმენისტის, თავისი ქვეყნისა და თავისი საეპარქიო მხარის, კოსოვოს პატრიოტის დევნას ურყევი მართლმადიდებლური ცნობიერებისა და მამულიშვილური პოზიციის გამო.

შეიძლება თამამდ ითქვას, რომ მსოფლიოში დაიწყო მართლმადიდებლობის, მართლმადიდებელი ქვეყნებისა და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინააღმდეგ მიმართული შევიწროვებისა და დევნის პოლიტიკის განხორციელება. ეს შევიწროვება ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ა) მართლმადიდებელი ქვეყნის დანაწევრების, დასუსტებისა და დამორჩილების გზით; ბ) ადგილობრივი ეკლესიის დისკრედიტაციის, არასასურველი სასულიერო პირების მოშორების (განყენებისა თუ ფიზიკური განადგურების) გზით, ეკლესიის მოდერნისტულ-კუმენისტურ რელსებზე გადაყვანის ხელშეწყობის გზით.

ეკლესიის წევრთა, სასულიერო და საერო პირებთა, თვით უმაღლესი იერარქების მიმართ, რომლებიც არ ეგუებიან მართლმადიდებლობის დამცრობას, შერყვნასა და სახელის გატეხვას, ეწინააღმდეგებიან ეკუმენისტურ ერესთა ერესს, ეკლესიის მსოფლიო პოლიტიკის დანამატად ქცევის ტენდენციებს, გამოყენებულია ცილისწამების, დისკრედიტაციისა და, რიგ შემთხვევაში, ფიზიკური ანგარიშსწორების მეთოდები. ამაში ჩართულნი არიან მსოფლიო ინსტიტუტები და მათ მიერ მართული ადგილობრივი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სამსახურები, ორგანიზაციები და ინსტიტუტები, ასევე მსოფლიო რელიგიური საკრებულოები, როგორიცაა ე.წ. რომო-კათოლიკური ეკლესია, მსოფლიო ეკუმენისტური ორგანიზაციები (მაგ. ემს) და ა.შ.

სამწუხაროდ მართლმადიდებლობის მტრებმა თავიანთი გავლენა განავრცეს მთელ რიგ მართლმადიდებელ იერარქებზე. მაგალითისათვის, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომეოსი (მისი მარჯვენა ხელის, მიტროპოლიტ ზიზიულასის თანაქმედებით) დაუფარავად იღწვის ეკუმენიზმის ხელშეწყობისა და მართლმადიდებელ ეკლესიაში განვრცობისათვის, ადგილობრივ ეკლესიებზე გავლენის მოპოვებისათვის. მსოფლიო ანტიმართლმადიდებლურმა ძალებმა ადგილობრივ ეკლესიებში შეძლეს თავიანთი მომხრეების პოვნა მოსყიდული, დამყოლი მღვდელმთავრებისა და მღვდელმსხურთა სახით, რომლებიც მხარს უჭერენ ეკუმენისტურ თანალოცვებს, რომო-კათოლიკებთან მოლაპარაკებებს, საეკლესიო მოდერნისტულ რეფორმებსა და სხვა არაკანონიკურ ქმედებებს.

დგილობრივი ეკლესიებისა და დიდი გავლენის მქონე მონასტრების, მათი დაუმორჩილებელი წინამძღოლების წინააღმდეგ მიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიას ერთი ხელწერა აქვს, რაც კამპანიის ცანტრალიზებულობასა და გარედან

მართულობას ადასტურებს. უახლოესი წარსულიდან, მაგალითისათვის, იერუსალიმის ანტიეკუმენისტი პატრიარქი ირინეოსი ძალადობრივად და უკანონოდ გადააყენეს, წამოუყენეს რა საეკლესიო ქონების უკანონოდ გაყიდვა. მსგავსი ბრალდება წამოუყენეს საქართველოს ეკლესიას რამოდენიმე წლის წინ: ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა სპეციალურ გადაცემაში გაავრცელა ცილისმწამებლური ბრალდება ეკლესიის მიმართ, თითქოს მან დააგირავა და გაყიდა ხაშმის ეკლესია. ვატოპედის მონასტრის წინააღმდეგ ერთი წლის წინ აგორებული ცილისმწამებლური კამპანიაც იმავე ხელწერისაა: მონასტრის იღუმენს ბრალი დასდეს მონასტრის ქონების არამიზნობრივად გასხვისებაში და მოუნდომეს გადაყენება. ახლაც, ეპისკოპოსი არტემი თავისი ეპარქიის მმართველობიდან განაყენეს და ერთ-ერთ პირველ ბრალდებად საეკლესიო სახსრების არამიზნობრივად გამოყენება წაუყენეს. ამ უკანასკნელ კამპანიაში მსოფლიო ძალების მონაწილეობა სრულიად აშკარაა, რასაც პრიზრენის ეპისკოპოსი, სერაფიმეც აღნიშნავს თავის წერილში (იხ. ქვემოთ).

ეჭვები იმის შესახებ, რომ დაუმორჩილებელი იერარქების წინააღმდეგ ფიზიკური ანგარიშსწორება შესაძლო ხერხთაგანია, არც თუ უსაფუძვლოა. ამის საბაბს იძლევა რუსეთის პატრიარქ, ალექსი II-ს ფრიად საეჭვო ვითარებაში გარდაცვალება. მართალია, პატრიარქი ალექსი II არ გამოირჩოდა თავისი ანტიეკუმენისტური მოღვაწეობით, მაგრამ რუსეთის ეკლესიის ამბიციებიდან გამომდინარე, რომელმაც თავის თავს მე-3 რომის მისია დაუსახა, რუსეთის პატრიარქი არ წყალობდა არც პირველ რომს, რომის პაპს, რომელსაც სურს თავისი პრიმატი და გავლენა გაავრცელოს აღმოსავლეთის ეკლესიაზეც, და არც მეორე რომს, კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რომელსაც აქვს მართლმადიდებელი ეკლესიის კოორდინატორის ფუნქციის შესრულების ამბიცია და ცდილობს გავლენა მოიპოვის მთელ მართლმადიდებლურ დიასპორაზე. ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკლესიაში ანტიეკუმენისტური განწყობილებები ბოლო წლებში შესამჩნევად გაძლერდა, საუბარი დაიწყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის უშედეგობისა და უპერსპექტივობის შესახებ, პაპისტებთან დიალოგის მიზანშუწონლობის შესახებ და სხვა ანტიგლობალისტურ თემებზე. ფიზიკური ანგარიშსწორების ხერხთაგან ასევე საუბარია მოწამლვაზე და მსგავს მეთოდებზე. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა მასშტაბური, საერთაშორისო ტერორი მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მართლმკვეთელი იერარქების მიმართ, რომლის მიზანია მართლმადიდებელთა დაშინება, ანტიქრისტეს წინარე რელიგიის, ეკუმენიზმის გავრცელების ხელშეწყობა და გლობალიზაციის ხელშემშლელი, – რელიგიური და ეროვნული სახელმწიფოების ფაქტორების მოხსნა.

ჩვენ პროტესტს გამოვთქვამთ ამ საერთაშორისო ტერორის წინააღმდეგ და მხარდაჭერასა და თანადგომას ვიცხადებთ სიმართლისათვის დევნილ ეპისკოპოს, არტემს.

დასასრულ, გთავაზობთ მასალის თარგმანს (http://aktines.blogspot.com; http://apologet.spb.ru), რომელიც შეიცავს მიტროპოლიტ სერაფრიმეს სიტყვებსა და მიმდინარე მოვლენების შეფასებას ეპისკოპოს არტემთან დაკავშირებით.

* * *

მოვლენები წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა. ეკუმენიზმის ერესი მძლავრობს. ჩვენი მამები საკმაოდ მომზადებულები არიან და საკმაოდაც გაგვაცნობიერეს იმაში, რომ ყოველი მწვალებლობა ეშმაკის უშუალო გამგებლობაში იმყოფება. ამ მიმართებით ეკუმენიზმიც არ არის რაიმე თვალსაზრისით გამონაკლისი. ყველაფერი, რაც იწერება, რაც ვითარდება in cognito, აღწევს ჩვენს ყურამდე, და ყოველივე ეს გვახსენებს იმას, რაც ნათქვამია წმიდა წერილში: ***„ვარდამოჴდა ეშმაკი თქუენდა მომართ სავსე გულის წყრომითა დიდითა, რამეთუ უწყის, ვითარმედ მცირედი ჟამი უც მას“*** (გამოცხ. 12,12).

სასულიერო დასისა და ერის წარმომადგენლები, მიუხედავად დიდთოვლობისა, შეიკრიბნენ, რათა გაეპროტესტებინათ სერბეთის ახალი პატრიარქის, ირინეოსის ახალგამომცხვარი ქმედება – მაღალყოვლადუსამღვდელოესი კოსოვოს ეპისკოპოს არტემის თავისი მოვალეობიდან განთავისუფლების გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ იმის გადათარგმნაც კი ვერ შევძელით, რაც თქვა ბატსკას ეპისკოპოსმა, ირინეოს ბულოვიჩმა, რომელმაც გვამცნო ამ გადაწყვეტილების შესახებ. ჩვენ ვერც კი შევიტყვეთ ამის ნამდვილი მიზეზი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კოსოვოს ეპისკოპოსი არტემი იყო ერთ-ერთი იმ ექვს იერარქთაგანი, რომელმაც ხელი მოაწერა „რწმენის აღმსარებლობას ეკუმენიზმის წინააღმდეგ“. ჩვენთვის ასევე ცნობილია (და ამის თაობაზე ჩვენ მაშინათვე განვაცხადეთ) ახალი პატრიარქის ფილოპაპისტური განცხადებების შესახებ, რომელიც საუბრობდა პაპთან თანამშრომლობაზე. შესაბამისად, ანტიეკუმენისტი არტემი არ იყო სასურველი პიროვნება, იგი ხელის შემშლელი იყო. ცნობილია ასევე, რომ პროტოპრესვიტერი გიორგი ტაცისი, პერგამოს მიტროპოლიტი იოანე და თავად მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი თავისი წერილებით როგორ ცდილობდნენ დაეშინებინათ ისინი, ვინც ხელი მოაწერა „აღმსარებლობას“ და გადაეფიქრებინათ სხვებისთვისაც ხელის მოწერა. მაგრამ მათ ვერ შეძლეს გაეტეხად იერარქების წინააღმდეგობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ იპოვეს ყველაზე სუსტი რგოლი.

მოდით, მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ეპისკოპოსს და ჩვენ სერბ ძმებს, რომლებიც იბრძვიან, და ვილოცოთ მათთვის. მაგრამ ამავე დროს აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ახლა საჭიროა უდიდესი სიფხიზლე. დე, დიდმა მარხვამ ჩვენ შეგვაძლებინოს

მხურვალე ლოცვა, რათა ღმერთმა განგვანათლოს ჩვენ იმისათვის, რომ უფრო ზუსტად და სარწმუნოდ გავერკვეთ განხეთქილების ჩამოყალიბებულ ვითარებაში, და რათა გავძლიერდეთ ბრძოლისათვის, რომელიც მოვალს და რომელიც მოითხოვს დიდ მსხვერპლს მთელ ფრონტზე. „რწმენის აღმსარებლობა ეკუმენიზმის წინააღმდეგ“ იყო პირველი საფეხური. მოდით ერთი საფეხურითაც ავიწიოთ, ვიდრე გადმოვუგდივართ მატარებლიდან. რომის უწმინდესი ეპისკოპოსი, ცელესტინი სხვა მწვალებლობის, ნესტორიანელობის გაჩენის დროს წერდა: ***„ახლა, როდესაც თქვენ ეკლესიის შიგნით გეუბნებიან ეკლესიისთვის მიუღებელს, თქვენ უფრო მეტად უნდა იფხიზლოთ და იზრუნოთ საკუთარი თავისთვის. რადგან მათ, რომლებიც შეშფოთებულები არიან შიგა მტრის მიერ, არ იციან მოსვენება. ამ შიდა ომში, ამ თქვენს საშიანო ბრძოლაში, დე, რწმენა იყოს თქვენთვის კედელი, რწმენის ისრებით თქვენ შეძლებთ თავის დაცვას ურწმონოების წინაშე. დავიცვათ სარწმუნოება, რადგან იგი გვიცავს ჩვენ“.***

პანაᲥოტის სიმატისი

პირეის მიტროპოლიტი სერაფიმე: „სერბეთის ეკლესიის მიუღებელი გადაწყვეტილება ეპისკოპოს არტემის მიმართ“

Μητροπολίτης Πειραιώς Σεραφείμ: “Απαράδεκτη η απόφαση της Σερβικής Εκκλησίας για τον Επίσκοπο Αρτέμιο”

დიდი მწუხარებითა და ტკივილით მივიღეთ ჩვენ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის, რომელიც შეიკრიბა სერბეთის ახლადარჩეული პატრიარქის, ირინეოსის თავმჯდომარეობით, 13 თებერვლის გადაწყვეტილება ყოვლადუპატიოსნესი რაშსკოსა და პრიზრენის ეპისკოპოს არტემის თავისი კანონიერი მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ, სამოციქულო სათნოებით შემკული მოღვაწისა, სარწმუნოებისთვის მებრძოლისა და აღმსარებელისა.

ჩვენ განვიცდით დიდ არაკეთილგანწყობას სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ამ ყოვლად მიუღებელი გადაწყვეტილების მიმართ, მაგრამ არ გვიკვირს, რამდგან, როგორც უკვე დამტკიცებულია, ის ხალხი, რომლებიც მიაცილებდნენ უნეტარეს პატრიარქ პავლეს ერეტიკოს რომო-კათოლიკებთან ერთობლივ ლოცვასა და მსახურებაზე კროატიაში, მხარეში, რომელიც „წმინდანებად რაცხავს“ ადამიანებს ცრუწმინდა რომო-კათოლიკური პარასინაგოგის სისხლისმღვრელი ბოროტმოქმედი კარდინალის, ალოიზიო სტეპინაცის მეშვეობით, რომელსაც პირადად ეკისრება პასუხისმგებლობა რომო-კათოლიკური უსტაშების ურდოების მეშვეობით სერბი ხალხისა და ჩვენი წმიდა ეკლესიის 800 ათასი სახელოვანი ახალმოწამის მხეცური ძალდობის გზით ჩადენილ სისხლიან მკვლელობებთან დაკავშირებით, ის ხალხი ახლა ჩაბმულან წმინდა, ღმრთისმოყვარე

და ხალხის მიერ საყვარელი სერბეთის სულიერი ლიდერის მიმართ ანგარიშწორებისა და ფიზიკური განადგურების ფერხულში, ადამიანისა, რომელიც იბრძოდა რწმენისა და მამულისათვის. და ეს ყველაფერი კეთდება იმ ბრალდების სახით, რომ იგი ჭეშმარიტების ნათლის წინაშე არ არის მართალი.

ჩვენ აღვავლენთ მხურვალე ლოცვას ღმრთისადმი, ეკლესიის დამაარსებლისადმი, სერბი ერის თანამედროვე წმინდანისა და ღრმა ღმრთისმეტყველის, ღირსი იუსტინე პოპოვიჩისადმი, რომელიც თავისი ნაშრომებით ამხელდა უღმერთო პაპიზმის ერეტიკულ გადაცდომებს, ანტიეკუმენისტი იერარქის, ირინეოსისა და სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა იერარქების სულიერი მამისადმი, რათა მან დაამხოს ეპისკოპოს არტემისაკენ მიმართული დევნა.

http://aktines.blogspot.com/2010/02/blog-post_388.html

რაშკო-პრიზრენელი მეუფე არტემი განყენებულია ეპარქიის მმართველობისაგან
ჟურნალი „მადლიანი ცეცხლი“
14/02/10

შეგახსენებთ, რომ 13 თებერვალს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ეპარქიის მმართველობიდან განაყენა ცნობილი ღვთისმოსავი მოღვაწე, რაშკო-პრიზრენის ეპისკოპოსი არტემი, მისი „საქმის“ გამოძიების დამთავრებამდე. ეპისკოპოს არტემის ნაცვლად ეპარქიის მმართველად დაინიშნა ეპისკოპოსი ათანასე (ევტიჩი), რომელიც აქამდე უმოქმედო იყო. დღეს მეუფე ათანასე მჭიდროდ თანამშრომლობს ეპისკოპოს ეგნატესთან (მიდიჩთან), რომელმაც ბელგრადის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის სასწავლო პროგრამიდან ამოიღო აბბა იუსტინეს (პოპოვიჩი) დოგმატიკა და შეცვალა იგი ცნობილი ეკუმენისტის, პერგამოს მიტროპოლიტ იოანეს (ზიზიულასი) სასწავლო კურსით.

ეპისკოპოს არტემის წინააღმდეგ, რომელიც მართავდა ეპარქიას კოსოვოში, დიდი ხანია მიმართავდნენ ინტრიგებს. მოდერნისტული ლობისათვის მიუღებელი იყო ეპისკოპოს არტემის ანტიეკუმენისტური პოზიცია, მისი ერთგულება წმიდა გადმოცემისადმი. ცნობილია მისი პროტესტი მართლმადიდებელ ეკლესიასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის შერეული კომისიის ფორმატში საღვთისმეტყველო დიალოგში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ეპისკოპოსი არტემი მტკიცედ დგას მართლმადიდებლური სწავლების სიწმინდის შენარჩუნების პოზიციებზე და ცნობილია თავისი ანტიმოდერნისტული, ანტიდასავლური და პატრიოტული შეხედულებებით.

სერბი ლიბერალი პოლიტიკოსებისა და საეკლესიო მოღვაწეების განსაკუთრებულ რისხვას იწვევს ეპისკოპოს არტემის პოზიცია, შეურიგდეს სიტუაციას კოსოვოში და აცხადებს უარს ალბანეთისა და საერთაშორისო პროტექტორატის ქვეშ კოსოვოს სიწმინდეების აღგენასთან დაკავშირებით.

მეუფე არტემი არის ერთ-ერთი დაუძინებელი მოწინააღმდეგე კოსოვოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ცალმხრივად გამოცხადდა ალბანელების მიერ 2008 წლის 17 თებერვალს. მეუფემ უარი თქვა, ითანამშრომლოს ევროკავშირის მისიასთან და 2008 წელს ამის გაკეთება აუკრძალა რაშკო-პრიზრენის ეპარქიის ყველა მღვდელმსახურს. დიდი რეზონანსი გამოიწვია მეუფე არტემის ამასწინანდელმა უარმა, კურთხევა მიეცა აშშ-ს ვიცეპრეზიდენტის, დ. ბაიდენის გრაჩანიცას მონასტერში ვიზიტისათვის, რაც ამერიკელაბმა ძალიან მტკივნეულად აღიქვეს. ამის შემდეგ მეუფე არტემის დევნა გაძლიერდა. მორწმუნეები დარწმუნებულები არიან, რომ ეს – დასავლეთისა და ოფიციალური ბელგრადის ზეწოლის შედეგია.